



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26
პარლამენტის სასახლე

ბრძანება

N 339/3

04/12/2017

„საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 30 ივნისის №210/3 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა სტრუქტურასა და საშტატო ნუსხაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 121-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ლ“, „ჩ“, „ჰ“ ქვეპუნქტებისა და 278-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის ნიკოლოზ ნათენაძის 2017 წლის 16 ნოემბრის №18351 წარდგინების საფუძველზე:

1. „საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 30 ივნისის №210/3 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა სტრუქტურასა და საშტატო ნუსხაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15. ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტი

თანამდებობა	კატეგორია	რანგი	სამართლებრივი სტატუსი	საშტატო ერთეულის რაოდენობა
დეპარტამენტის უფროსი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I (მაღალი მმართველობითი დონე)	პროფესიული საჯარო მოხელე	1
1. პერსონალის აღრიცხვისა და ადმინისტრირების განყოფილება				
ა) განყოფილების	მეორადი	II (საშუალო	პროფესიული	1

უფროსი	სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	მმართველობითი დონე)	საჯარო მოხელე	
ბ) მთავარი სპეციალისტი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III (უფროსი სპეციალისტის დონე)	პროფესიული საჯარო მოხელე	6
გ) უფროსი სპეციალისტი	მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III (უფროსი სპეციალისტის დონე)	პროფესიული საჯარო მოხელე	1
2. ანალიზისა და ინსტიტუციური განვითარების განყოფილება				
ა) განყოფილების უფროსი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II (საშუალო მმართველობითი დონე)	პროფესიული საჯარო მოხელე	1
ბ) მთავარი სპეციალისტი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III (უფროსი სპეციალისტის დონე)	პროფესიული საჯარო მოხელე	2
გ) წამყვანი სპეციალისტი	მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III (უფროსი სპეციალისტის დონე)	პროფესიული საჯარო მოხელე	3
3. პერსონალის სწავლებისა და პროფესიული განვითარების განყოფილება				
ა) განყოფილების უფროსი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II (საშუალო მმართველობითი დონე)	პროფესიული საჯარო მოხელე	1
ბ) მთავარი სპეციალისტი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III (უფროსი სპეციალისტის დონე)	პროფესიული საჯარო მოხელე	2
გ) წამყვანი სპეციალისტი	მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III (უფროსი სპეციალისტის დონე)	პროფესიული საჯარო მოხელე	2
4. საიდუმლო საქმისწარმოების განყოფილება				
ა) განყოფილების უფროსი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II (საშუალო მმართველობითი დონე)	პროფესიული საჯარო მოხელე	1
ბ) მთავარი სპეციალისტი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III (უფროსი სპეციალისტის დონე)	პროფესიული საჯარო მოხელე	1
გ) წამყვანი სპეციალისტი	მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III (უფროსი სპეციალისტის დონე)	პროფესიული საჯარო მოხელე	1
				სულ: 23

“;

ბ) 37-ე მუხლის შემდეგ:

ბ.ა) სიტყვები „სულ: პროფესიული საჯარო მოხელე – 390;“ შეიცვალოს სიტყვებით „სულ: პროფესიული საჯარო მოხელე – 396;“;

ბ.ბ) სიტყვები „სულ: საქართველოს პარლამენტის აპარატის სამტატო ერთეულთა რაოდენობა – 704.“ შეიცვალოს სიტყვებით „სულ: საქართველოს პარლამენტის აპარატის სამტატო ერთეულთა რაოდენობა – 710.“.

2. ბრძანება საჯაროდ გამოცხადდეს 2017 წლის 7 დეკემბერს და ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრამის ქ. №11).

ირაკლი კობახიძე

